სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцелъ“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

ვასილ როინაშვილი და გაიანე წიკლაურისა ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს დილუბეში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება ნახევარი წლის პანაშვიდი

ალექსანდრე როინაშვილისა

იბეჭდება და მალე გამოვა

შიო არაგვისპირელის

მოთხრობები

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

„სახელმძღვანელო“

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების

მოწაფეთათვის

შედგ. მღვ. ნ. ჟუზანიშვილის მიერ

ფასი ყდით 30 კაპ.

ცალკე თითო გაზეთი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—3)

„შუამავალი“
ამხანაგობის მაღაზიაში
მიღებულია ახლად:
ყავები, შეკოლადი და კაკაო, „პეჩენიები“, სასმელები საზღვარგარეთისა, ხმელი ხილი, მდოგვი საზღვარ-გარეთისა და რუსეთისა, ვერმიშელი „გუსტო“, პიურე ტომატი (პამიდორი), კონსერვები ყოველგვარი თევზეულობისა, კონსერვები ატმისა, ბალისა, ჭერმისა.
კუთხე ბარონის და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. კ. ი. მუხრანბატონისა № 6/1.

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

„კავშირი“

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.
ეტლთა მიმოსვლა არის შეპირებული მატარებლის მიმოსვლასთან.
სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.
ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომახიძე
(15—4)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ჩემგან წაღებული აქვთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქულაბები, კეთილ ინებონ და დაუბრუნონ დროისით ხსენებული ყულაბები საზოგადოების კანცელარიას. ეს თხოვნა შეეხება იმათ, რომელთაც პირველად დაურიგდათ ყულაბები.
(5—5) ნინა ყიფიანისა

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორია ი არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟი[illegible]ვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—57)

# ახალი ამბავი

—

*** თავ. ვ. ს. მიქელაძის გამგზავრება კახეთში. კახეთის ყოველის კუთხიდან ისმის ამბავი, რომ სირაჯები და ჩარჩები სარგებლობენ ხალხის შევიწროებულ მდგომარეობით და იმდენად ამცირებენ ღვინის ფასს, რომ წლევანდელ უხვის შემოსავლიდან ლამის ხელცარიელი დასტოვონ; ამის გამო ჩვენის სამეურნეო ბანკის მმართველობას, როგორც შევიტყვეთ, გადაუწყვეტია, გაგზავნოს თავის წევრი თავ. ვ. ს. მიქელაძე, რათა მიიღოს ყოველგვარი საშუალება და გაუადვილოს ხალხს ბანკიდან ფულის მიღება.

სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ამ ყოვლად გონივრულ გარდაწყვეტილებას სამეურნეო ბანკის გამგეობისას, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა ზრუნვა ჩვენებურ მეურნეობაზე, ჩვენ გვჯერა, რომ ასეთის დროზე მოსწრებულის საშუალებით ჩვენი სამეურნეო ბანკი დაუვიწყარ შემწეობას გაუწევს კახეთის უმთავრეს მეურნეობას და თვითონ ბანკიც ზრდასა და წარმატებაში შევა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის დაბრუნებას ტფილისში მოელიან ხვალ, 14 ნოემბერს.

*** სახალხო წარმოდგენების გამო. შაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია სახალხო კომისიის წევრთა კრება, რომელზედაც განხილული იქნება კომისიის პროექტი სახალხო წარმოდგენების გამართვის შესახებ.

*** სულით-ავადმყოფთა თავშესაფარის კურთხევა. კვირას, 15 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულია ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის კურთხევა.

*** მამასახლისის თანაშემწეს არჩევა თელავში. თელავის ქალაქის მამასახლისის თანაშემწედ 2 ნოემბერს არჩეულ იქმნა თელაველი ვაჭარი ს. მიღდისოვი. („ნ. ო.“)

*** სოხუმის სამეურნეო საზოგადოება. მიწად-მოქმედების სამეურნეომ დაამტკიცა სოხუმის სამეურნეო საზოგადოების წესდება.

*** სასოფლო-სამეურნეო თანხა. იმ სასოფლო-სამეურნეო თანხის უწყებიდან, რომელიც დაარსა ტფილისის გუბერნიაში ტფილისის გუბერნატორად ნამყოფმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ, სჩანს, რომ 1898 წლის 1-ლ იანვარს 1627 სასოფლო საზოგადოებას ჰქონია ნაღდ ფულად 1.126,342 მ. და 40 კ., გარდა ამისა ხორბლად: 84,764 ფუთი პური, 13,326 ფ. შვრია, 430 ფ. სიმინდი და 2,124 ფუთი ქერი.

*** კაცის მოკვლა. 12 ნოემბერს, დილის 4 საათზე, მოღნინის მოედანზე, პარკებში დაკურწული და ჩალაგებული კაცი იპოვეს, რომელიც მარტირუზოვი აღმოჩნდა. პოლიციას ეჭვი სომეხთა მედავითნე კოსტაზე მიუტანია.

*** მეფისაშვილის საქმე. „ნოვ. ობ.“-ეს დეპეშით აუწყებენ ახალციხიდან, რომ ბრალდებულნი მეფისაშვილის საქმის თაობაზე გამართლებულ იქმნენ.

*** მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტ. ს. ნ. ი. პრიბილი, რომელიც გაგზავნილ იქნა ბორჩალოს მაზრაში იქ ყაჩაღების წინაამდეგ ზომების მისაღებად და აგრეთვე მაზრის პოლიციის გამგეობის სარევიზიოდ, ამ ჟამად ათავებს მინდობილების ასრულებას და მალე გაემგზავრება გუბერნიის სხვა მაზრებში.

*** გზების უვარგისობა მოსკოვის ქუჩაზე. მოსკოვის ქუჩა შეადგენს ტფილისის შუა ქალაქის ქუჩას, სადაც აგებულია მრავალი სართულიანი სახლები და ცხოვრობენ მრავალი წარჩინებული პირნი. ყველას მოეხსენება, ამ ურიცხვი სახლებიდან ქალაქს რა შემოსავალი ექნება, მაგრამ წარმოიდგინეთ, აქ ივლისშიაც ტალახში კაცი ვერ გაივლის, ისეთი ცუდი გზებია. ამ გზის შუა მთა-წმინდიდან ჩამოდის პატარა წყარო, რომელიც უმთავრესი მიზეზია ამ გზის გაფუჭებისა. ამ გზის ზემოთ ცხოვრებენ მუშა ხალხი, მრეცხავი და სხ., რომელნიც ნაგავს და ნარეცხს ამ წყალში ჰყრიან და ასხამენ, რის გამო ისე ყარს ეს გზა, რომ გავლა შეუძლებელია. ნუ თუ ქალაქის გამგეობა მოვალე არ არის, რაიმე ზომები მიიღოს ამ უსუფთაობის მოსასპობად.

*** ქვაშვეთობა (გიორგობა) ამ თვის ათს, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში, ტაძრის დღესასწაულის გამო მწირველი ბრძანდებოდა მაღალყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი ფლაბიანე რამოდენიმე მღვდელების თანახლებით. წირვის დროს გალობდა ორი ხორო, ერთი რუსული თვით ეგზარხოსისა და მეორეც ქართული. ქვაშვეთის ეკკლესიის საკუთარი ხორო კაცების და ქალების ხმებისაგან შემდგარი, მონადირაშვილის ლოტბარობით, წირვა მომეტებული ნაწილი სრულდებოდა ქართულ ენაზედ და რასაკვირველია აგრეთვე გალობაც ქართული ქარმობდა. თუმცა ამ დღეს ცუდი ამინდი იყო, საშინელი წვიმა და ტალახი მაგრამ ხალხი მაინც ბლომათ დაესწრო. ქართულმა გალობამ დიდად დაატკბო მსმენელნი, თვით მათი მეუფებაც სიამოვნებდა წყნარის და სუფთა ხმებით ქართული გალობის სმენით და თავისი მშვიდობიანობის, მამობრივის და ბრწყინვალის სახით უხატავდა ყველა მსმენელთ მამაშლურს სიყვარულს. წირვის ბოლოს, იმ დღის შესაფერი გძნობიერი სიტყვა წარმოსთ. ქვა ქვაშვეთის ეკკლესიის წინამძღოლმა მარკოზ ტყემალაძემ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ. წირვის შემდეგ, მათი მეუფება შემოსილი სამღვდელოებითურთ შებრძანდა ხსენებულის ეკკლესიის ახლად აშენებულის სამრევლო სკოლაში, სადაც გადაიხადა პარაკლისი და აკურთხა ახალი შენობა. სკოლის კურთხევას დასწრნენ: მზრუნველი სკოლისა კნეინა მუხრან ბატონისა-ნინო, საეპარხიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი ტატიშვილი, თ. ამილახვარი, ალექსანდრე ირაკლის ძე მუხრან ბატონი, ალექსანდრე მიხეილისძე მუხრან-ბატონი და ბ-ნი არჯევანიძე, ყველა ნასიამოვნები და მადლობელნი დარჩნენ სკოლის სიმშვენიერეზედ. ახლად აშენებულს სკოლას სიფართოესთან ერთად ამშვენებდნენ: მიტრაპოლიტის ვლადიმერის გამოგზავნილი მაცხოვრის ხატი, საქართველოს დიდება საბინინისა, წმ. გიორგის ხატი, წმ. ნინოს ხატი, სურათები ძველის ახალის აღთქმის ისტორიის, სურათები რუსეთის სამეფო სახლეულობისა — იმპერატორის ნიკოლოზის და დედოფლისა მისისა, არხიეპისკოპოსის ფლაბიანესი. ბ-ნის ამილახვრის და მზრუნველის კნეინა მუხრან-ბატონის ნინოსი. შემდეგ სკოლის კურთხევისა, მათმა მეუფებამ ზემო ჩამოთვლილი პირებით, ისადილა წინამძღოლის მარკოზ ტყემალაძისას და სადილის ბოლოს ერთხმივ დიდი მადლობა უძღვნეს მღვდ. ტყემალაძეს იმ დიდი შრომის და ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საეკკლესიო შენობის აგებისათვის, რის შემდეგაც დიდი მადლობელნი და ნასიამოვნები დაიშალნენ.

*** **სოხუმი.** წირვა-ლოცვის საქმე სოხუმის ეპარქიაში. როგორც „კავკაზს“ სწერენ სოხუმიდან, სოხუმის საეპარქიო კანცელარიას მოსვლია უწმინდესის და უმართებულესის სინოდის ბრძანება სოხუმის ეპარქიაში წირვა-ლოცვის შესრულების შესახებ. თანახმად ამ ბრძანებისა, იმ სამრევლოებში, სადაც რუსები სცხოვრობენ, წირვა-ლოცვა სლავიანურად უნდა იყვეს; იქ, სადაც აფხაზები სცხოვრობენ, სლავიანურადვე უნდა იყვეს წირვა-ლოცვა, რადგან აფხაზურ ენაზე საეკკლესიო წიგნები თარგმნილი არ არის, ლოცვები კი, რომლებიც უკვე თარგმნილია აფხაზურად, ამ ენაზე უნდა იქმნეს წარმოთქმული ეკკლესიაში; რაიცა შეეხება იმ სამრევლოებს, სადაც მეგრელები სცხოვრობენ, უწმინდესს სინოდს საჭიროდ დაუნახავს ებრძანებინა, აქ ქართულად უნდა იქმნეს წირვა-ლოცვაო. სოხუმელები, რომელნიც ასე დანატრებულები არიან ქართულ წირვა ლოცვასა, იმედია, მალე ეღირსებიან იმ დღეს, რომ ღმერთი თავის სამშობლო ენაზე ადიდონ.

*** **ახალ-სენაკი.** კიდევ ცეცხლის გაჩენა. 9 ნოემბერს აქეთ ისეთი ღონიერი აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა, რომ დიდს ხეებს ძირიანად აქცევდა. ჯერ სენაკელებს 5 ამ თვის ამბავი არ ჰქონდათ დავიწყებული, ვიღაც ბოროტ-მოქმედმა დუქნის უკან ბურბუშელით გავსებულს დიდს ბოჭკას ნავთით შეზავებული ფიტილი მისცა საღამოს ათ საათზე. კიდევ მადლობა ღმერთსა, რომ დროზე გაიგეს, თორემ თქვენი მტერია, მთლად გადაიბუგებოდა მთელი დაბა, ისეთს ადგილზე იყო გაკეთებული ეს მაშხალა ნუ თუ ეხლა მაინც ყურს არ გაიბერტყს აქაური პოლიცია და დაბის დედა-ბოძი-დეპუტატნი?.. სასურველია აქაურმა პოლიციამ მეტი ყურადღება მიაქციოს დაბას ქარიანობის დროს, თორემ „ავსა კაცსა, ავი საქმე, ურჩევნია სულსა გულსა“, ამბობს ანდაზა და ჩვენც ვგებ ნაცარ-ტუტათ გვაქციონ, თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა ამ გარემოებას...

— უბედურება რკინის გზაზე. 10 ამ თვეს, ახალ-სენაკიდან ერთის ვერსის მანძილზე საბარგო მატარებელმა გასრისა ს. ნოსირის მცხოვრები გიორგი სოლომონია. საბრალოს დარჩა ოთხი მცირე წლოვანი ბავშვი, დედა და ცოლი, რომელთა იმედი განსვენებული იყო.

ტელეფონი

*** **ს. მარტვილი.** სადღესასწაულო პარაკლისი. დღეს რვა ამ თვეს მარტვილის პირველ მონასტერში შემდგომ ლიტურღიისა და იუბილიარის ორმოცდა-ათი წლის მნიშვნელოვან მოღვაწეობაზე მოკლე სიტყვის წარმოთქმის მარტვილის საზოგადოების თან დასწრებით მონასტრის და მარტვილის საბოროს კრებულთა თანა მსახურებით ბლაღოჩინი მღვდელი პიტონ გაწერელიას მიერ პარაკლისი იქმნა გადახდილი 50 წლის სახელმწიფო დანიშნულებაში კეთილ მსახურის იუბილიარის იმისის უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სადღეგრძელოდ. აგრეთვე გადახდილ იქმნა პარაკლისი იმავე სოფლის წიგნთ საცავ-სამკითხველო და ორთავე ორ-ორ კლასიან სამრევლო და სამინისტრო სკოლებშიაც.

მარტვილელი

*** **სადგ. ჯუმათი** (გურია). საჭირო განმარტება. სადგურ ჯუმათიდგან ერთი „ვაჭართაგანი“ „ცნობის ფურცლის“ შემწეობით საყვედურს აცხადებს სამრევლო სკოლაზე. ეს საყვედური პირადათ მე მეხება, როგორც ადგილობრივ მღვდელს და ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, სიმართლის აღსადგენად ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

1894 წელს ახლად ნაკურთხმა, უსახლ-კარომ და უცხო სოფელში გადმოხვეწილმა მღვდელმა ყმაწვილებს თავი შევუყარე და უსასყიდლოდ გ. კ—ტიას ოდის ქვეშ, „პალატში“, ავად იყო თუ კარგად, დიდის წვალებით ბავშვებს წერა-კითხვა ვასწავლე; მშობლებსაც სწავლის სურვილი აღვუძარი. შემდეგ 1895 წელს სადგურის უფროსმა, ბ-ნმა გაბუნიამ, მოიწადი[illegible] რომ სკოლა სადგურზე ყოფილ[illegible]ყო. ამ აზრით ერთ დღეს ბ. გაბუნიამ, სარჯველაძემ და მე დუქნები ჩამოვიარეთ და ფულები შევკრიბეთ. შეგროვდა 19 მან. და 60 კაპ. შემდეგ მედუქნეებისაგან: დ. სარჯველაძისაგან 5 მ., ი. ტუღუშისა, მ. აფხაზავას, ი. დობორჯგინიძისა და ყ. ტუღუშისაგან სამ-სამი მანათი და იაკობა თათარისაგან 60 კაპ.; გარდა ამისა შევკრიბეთ სადგურზე მოსამსახურე პირთაგან 12 მან.: ბ.ბ. ფ. გაბუნიასა და პ. ამაღლობელისაგან სამ-სამი მანეთი; კ. ჩიქოვანისა, მ. მ. გოგუასა და მ. გოგიჩაიშვილისაგან თითო მანეთი; ვასილ ლალიძისაგან 3 მ.; გარეშე პირთაგან 6 მან.—ი. ქყონიასაგან 3 მ., ი. სვანიშვილისაგან 2 მ., კ. დოლიძისაგან 1 მ.; სულ შესდგა 37 მ. და 60 კ. (სია ხელში მაქვს, ბ-ნ გაბუნიას ხელით ნაწერი). ამ ფ[illegible]ლიდან 80 მან. სკოლისათვის ს[illegible]ლი ვიყიდე; ოთხი ვერსიდან [illegible]მებით ჩამოვიტანე უფასოდ, ადგ[illegible]ლი სკოლის დასადგამად გლე[illegible] ჩ. ტუღუშმა მითავაზა, სანამ ს[illegible]ლა იქ იქნება. სკოლის დასადგმელად ოსტატებს მივეცი 13 მან., დასახურავად 16 მან. (არ ვღებულობ სახეში წვრილმან ხარჯებს), შეგირდების საჯდომ სტოლში და სასკოლო დაფაში 20 მ. (ყველას ნაყიდობა მაქვს). ეხლა ვკითხოთ ბ-ნ მოვაჭრეთაგანს—მისს 19 მან. და 60 კაპ. ამდენის ყიდვა შეეძლო? რაც ვიყიდე, განა ყველაფერს კარგად არ ხედავს! მაინც

კიდევ რად მეკითხება, სად დაიხარჯა ჩვენი 19 მან. და 60 კაპიკი?! სად დაიხარჯა კი იცის, მაგრამ ჩემგან მადლობა უნდა, რომ თვისი შვილის გასაზრდელ სახლისათვის ორი გროში შეესწირა. ბ-ნი მოვაჭრეთაგანი რატომ იმასკი არა მკითხავს, თუ 37 მ. და 60 კაპ. გარდა სად ვიშოვნე სკოლაზე დასახარჯავი ფული? ამაზე ვუპასუხებდი, რომ ჩემს გაცვეთილ ჯიბეს 91 მ. და 40 კ. მოვპარე და მის შვილს ვასესხე...

სხვა, ქართაგანო, „კუ-კუმ“ თუ კუ-კუ! ჩამოგძახა: „ნუ ჩარჩობთო' ხაზაინო“, წიგნის გამყიდველ ყმაწვილს ნუ სცემო“! იმისათვის გაგეცა ხმა!.. მაგრამ ხმის გაცემისათვის ხომ საბუთი დაგჭირდებოდათ!.. გარდა ამისა ნუ დაივიწყებთ თქვენს დაპირებას: მზათა ვართ ასეთი კეთილი საქმისათვის (როგორიც სკოლაა) უკანასკნელი გროში არ დავიშუროთო! „ა დათვი და კვალი“! ჯერჯერობით თქვენგან არაფერი მახსოვს, გარდა ერთისა: ერთმა თქვენგანმა გასულ ზამთარში გაშიშვლებულ სატევრით 7 წლის შეგირდს სკოლის სდია, მერე სკოლაში დაჰკვდია: რა უყავი ჩემი ერთი ბაქერი შეშაო! აი, წლიური შემწეობა! ერთი ღერი შეშისათვის ყმაწვილს სიკვდილში ფეხი ჩააბიჯებია!

რაც შეეხება იმას, რომ გულგრილობა მეტყობა სკოლის შესახებ, ამაში ვაღიარებ თავს დამნაშავედ, რადგან სიღარიბის გამო გული იმდენად ვერ გამითბა, რომ რაც ტვირთი ვზიდე სკოლის შესახებ, იმაზე მეტი ამეწია. ხოლო რაც შეეხება თქვენს ბრძანებას, რომ მე „სხვის საქმეს ვეპოტინები“, მართალი ბრძანებაა, მაგრამ ჩემი პოტინით ნაყოფიც მომიწყვეტია და საზოგადოებისათვის მიჩუქებია, თქვენ-კი სკოლას შეეპოტინეთ, მაგრამ მისი წარმატებისთვის ყურსაც არ იბერტყავთ!..

მღვდელი ნ. ჯიჯიეიშვილი

*** **დ. საჩხერე.** ყვავილი. ერთ კვირაზე მეტია, რაც საჩხერეში ყვავილი გაჩნდა. ერთი უკვე იმსხვერპლა და სამი ავადაა. ზომა ამ სენის წინააღმდეგ ჯერ არავის არაფერი უხმარია. ყვავილის ამცრელი კაციც ვერ გვიშოვნია, რომ ამ უბრალო და უტყუარი საშუალებით დავკმაყოფილდეთ. საჩხერე ისეთი მრავალ-ხალხოვანი დაბაა, რომ თუ აქ გადამდებმა სენმა ეპიდემიური ხასიათი მიიღო, დიდ ზარალს მოიტანს, მით უმეტეს, რომ ამ დაბაში ერთი ორკლასიანი სამრევლო და ერთი ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებლებია, რომლებშიც ორასამდე ყმაწვილებია სხვა-სხვა სოფლებიდან მოსიარულე; ამას გარდა კვირში ორჯერ ამ დაბაში აუარებელი ხალხი იყრის თავს პარასკეობით და კვირაობით. კარგი იქნება, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს.

გახიზნული

## სამეცნიერო ცნობა

მცენარეთ-მეტყველება (ბოტანიკა). დიდი დრო არ გასულა მას აქეთ, რაც მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მეურნეობის გავრცელებაზე. ეხლა მთელ რუსეთის სახელმწიფოში დაიწყეს სამეურნეო სკოლების და განყოფილების დაარსება. აქედანა სჩანს, რომ ჩვენ მდიდარ ქვეყანაში მეურნეობამ წინ უნდა წაიწიოს, მაგრამ მეურნეობის წინ წასაწევად საჭიროა, რომ ჩვენ საქართველოში გამოიცეს რამდენიმე სამეურნეო გაზეთები ჟურნალები, რა თქმა იაფ ფასიანები, რომ მდაბიო ხალხისათვისაც ხელ-მისაწდომი გახდეს. როდესაც სამეურნეო გაზეთებს ან ჟურნალებს ნაკლები ფასი ექნება, მაშინ მას მოემატება ხელის მომწერიც, ამაობაში როგორც გაზეთების გამომცემლებს, ისე გამომწერლებს მიეცემათ დიდი შეღავათი, მარტო ამ ღონისძიებით შეიძლება მეურნეობამ დაიჭიროს სასურველი ადგილი, როგორც უჭირავს მაგალითად გერმანიაში, საფრანგეთში, ჩინეთში და სხვა საზღვარ-გარეთ ქვეყნებში. იმ ქვეყნებში იმდენად გახშირებულა და დაიაფებულა სამეურნეო ჟურნალ-გაზეთები, რომ ყველა უბრალო მუშას ეძლევა შემთხვა ყოველ დღე გაზეთების კითხვისა. ამისათვის, როგორც მდაბიო ისე განათლებულ ხალხში, თანასწორედ მისდევენ მეურნეობის გავრცელების მიზანს. რა თქმა უნდა იმისთანა ხალხში მეურნეობას ყოველთვის ეჭირება უმაღლესი ადგილი, ვიდრე ჩვენ საქართველოში. მეურნეობა არის იმისთანა საგანი, რომ ორს და სამ პირს არ შეუძლიანთ ამ საქმის განხორციელება. აქ საჭიროა, რომ ყველამ მოჰკიდოს ხელი ხელს და ერთმანერთის რჩევით და შველით დაადგნენ მიზანს და შეასრულონ ის მოთხოვნილება, რაც საჭიროა მეურნეობის გავრცელებისათვის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ საქართველოში გავრცელებულა ის სენი, რომ ვინც შეუდგება კეთილ საქველ-მოქმედო საქმის გაკეთებას, იმას დახმარების მაგიერ, ხელს უშლიან საქმეში, ამით ყველა მშრომელ კაცს, ეკარგება ხალისი და სურვილი საქმეში. მაგრამ როდესაც ჩვენ მივბაძავთ საზღვარ-გარეთის ხალხს, მაშინ ჩვენშიაც უეჭველია მოისპობა იმისთანა მავნებელი და ხალხის დამქვეითებელი სენი. აქედამ მე გამომყავს ის დასკვნა, რომ მარტო ერთი სამეურნეო გაზეთი ვერ აკმაყოფილებს მთელ საქართველოს, საჭიროა გაზეთების შემწეობით გავავრცელოთ მეურნეობა ჩვენს მდაბიო ხალხში. მე ვიცი ამ ჩემ წერილის მკითხველები იტყვიან, თუ მდაბიო ხალხს მეურნეობის ცოდნის ინტერესი აქვთ, გაზეთ მეურნესაც გამოიწერენო, მართალია გაზეთ „მეურნე“ მშვენიერად ასრულებს თავის თანამდებობას, ვისაც რომ ესმის და იწერს, მაგრამ იმ სასარგებლო გაზეთს ბევრნი არ იწერავენ, მეტადრე სოფლებში. როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, თუ სოფელში იპოვება იმისთანა პირი, რომელსაც კითხვის სურვილი აქვს, ის იქმნება მღვდელი, მასწავლებელი ორიოდე თავადი ანუ აზნაური, თუ კი ისინიც იპოვებიან, თუ არა მარტო მღვდელი უეჭველად იპოვება, მღვდელს, რა თქმა უნდა უფრო გაზეთის წაკითხვის სურვილი ექმნება, ვიდრე სამეურნეო გაზეთისა, და როდესაც იმისთანა გაზეთში, როგორც „ცნობის ფურცელი“ თავისი სიიაფით მოთავსებული იქმნება სამეურნეო ცნობები, მაშინ მღვდელს შეუძლიან მარტო გაზეთის შემწეობით გააგებინოს მთელ სოფელს მეურნეობის ავ-კარგიანობა, რომ შეუმსოთ ეს ნაკლი ჩვენ დავარდნილ ხალხს. მე ვეცდები პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ შემწეობით, მივაწოდო გაზეთის მკითხველებს ზოგიერთი სამეურნეო ცნობები.

მცენარეები იყოფებიან ოთხ რიგათ: 1) ნახევარ ბუჩქებათ (на полу кустарники), 2) ბუჩქებათ, (на кустарники), 3) ნახევარ ხეებათ (на полудеревья) და 4) დიდრონ ხეებათ (на деревья).

ნახევარ და ბუჩქიან მცენარეებს ეკუთვნიან იმისთანა მცენარეები, რომლებიც შორიდამ მიწის პირად ამოიხეთქავენ ხოლმე მრავალ ტოტებს. ნახევარ და დიდრონ ხეებს კი ეკუთვნიან იმისთანა მცენარეები, რომლებსაც მიწიდამ ამოაქვთ მარტო ერთი ღერო (штамбъ), მერე, არშინ ან ორ არშინის სიმაღლეზედ შეიმოსება ხოლმე ტოტებით. ჯერ მე აქ ავსწერ იმისთანა მცენარეებს, რომლებსაც მოაქვთ ნაყოფი და რომლის ნაყოფიც გამოსადეგია ოჯახში საჭმელად ან სხვა სასმელების მოსამზადებლად.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## თეატრის მატიანე

**ქუთაისი.** ქართული წარმოდგენა. ქუთაისის საზოგადოება წელს ქართულს წარმოდგენას მოუთმენლად მოელოდა. ბ-ნს მესხიშვილს უკისრნია ქართული თეატრის საქმეების წარმოება: 25 ოქტომბერს სეზონის დასაწყებლად დადგეს შილლერის 5 მოქმ. ტრაგედია „ყაჩაღები“.

წარმოდგენამ სუსტად და უფერულად ჩაიარა; ბ-ნი მესხიშვილი ჩვეულებრივ თამაშობდა ფრანც მოორის როლს და კარგად ჩაატარა მეხუთე სურათი; ამალიას როლში კარგი იყო ქ. ჩხეიძე; დანარჩენ მსახიობებს ეტყობოდათ დაზარება როლის გადაკითხვაში, რომელსაც ცხადათ გვიმტკიცებდა მათი გაუგებარი ლაპარაკი. კარლ მოორის მონოლოგმა: „ჰოი ადამიანო!..“ საზოგადოებაში სიცილი გამოიწვია. კარგი იქნება ბ. თუთბერიძე თავისს შესაფერ როლებს ჰკიდებდეს ხელს. ბ. ნიკოლაძის ლაპარაკი არვის ეყურებოდა და თითონ-კი ხშირად ეკითხებოდა სუფლიორს: ა? მეორე როლების მოთამაშეთა შორის ერთი „კაპელდინერიც“ ერია და, რა თქმა უნდა, რომ თამაშიც შესაფერი იყო! ბოლო სურათში დანიელს მეტად დააგვიანდა გამოსვლა და ბ. მესხიშვილმა უცენზურო სიტყვა გამოურია თავისს მონოლოგში: ვიღაცას „სინ“-ო! ეს პიესა წამიკითხავს, მაგრამ იმგვარი სიტყვა არსად შემხვედრია.

8 ნოემბერს გამართეს მეორე წარმოდგენა „სამშობლო“ ბ. გამყრელიძის მონაწილეობით; ამ მეორემაც ძლიერ უფერულად ჩაიარა, მხოლოდ მე-5 მოქმედებამ და აპოთეოზმა კარგი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზე. მესხიშვილი (ლევან ხიმშიაშვილი) საუცხოვოდ თამაშობდა, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ხმა ვერ შესწევდა. ბ. გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლს კარგად თამაშობდა და ჩვეულებრივ ბაძავდა კ. ყიფიანს. ქ. ჩხეიძე—ქეთევანი, ბალანჩივაძე—გოგია დიაკვანი, ნემო—შაჰი, ვერ გრძნობდნენ თავიანთ თავს ჩვეულებრივად თავისუფლად; ფაიხოშას როლს ასრულებდა გვეტაძის ქალი და დედაკაცისას ჩიქოვანის ქალი. ყველა სუსტობდნენ, მეტადრე უკანასკნელი.

ბ. ბალანჩივაძემ ამას წინად (გაზეთ „ცნობის ფურცელში“) საყვედური შემოიტანა, რომ ქუთაისის ძველმა კომისიის წევრებმა უარი განაცხადეს და ახლებიც არავინ არიან ამ საქმის გამძღოლნიო, ამ საყვედურის მაგიერ უმჯობესი იქნებოდა თავისი ამხანაგები დაერიგებინა, რომ გულ-მოდგინედ

მოეკიდნენ თავიანთ საქმეს, რადგან არც ქუთაისის საზოგადოებას აქვს წყალში გადასაყარი ფული და თუ, ბატონო, ოფლში კი იწურებიან უსარგებლოდ, ბეჩა, ქეჲსი ბრალია.

ქეთო

## ყურმოკრული საუბარი

— შე ბრიყვო! როგორ გაბედე, რომ მთხოვნელი ჩემს კაბინეტში ჭერანგის სამარა შემოუშვი?

— ბატონო, თქვენ არ მიბრძანეთ ყველა მთხოვნელებმა ზევითი ტანისამოსი გაიხადონ და ისრე შემოუშვი ჩემთანაო.

— მერე?

— მერე ისა, ბატონო, რომ ამ მთხოვნელმა პალტო გაიხადა და პერანგი სამარა დარჩა.

—

— შინ არის შენი ბატონი?

— შინ გახლავთ მხოლოდ არ სცალია.

— რას აკეთებს.

— ცოლი სცემს.

—

უფროსთან

— შენ კიდევ დათვერი?

— ცოლი მომიკვდა, ბატონო, და სახარულისაგან ცოტა გავხელი.

— თუ კიდევ დამთვრალხარ, დაგითხოვ.

— ნება მიბოძეთ, ბატონო, ერთი დღე კიდევ ვიმგლოვო ჩემი ცოლი.

## გამოსადეგი ცნობა

შავი ჭირის გადამდებლობა. შავი ჭირის „მიკრობების“ ხანგრძლივს სიცოცხლეზე და გადამდებობაზე ჟენევის ერთი გაზეთი, აი რა საოცარს შემთხვევას იუწყება: 1660 წ. ჰოლანდიის ქალაქ გარლემში შავი ჭირი მძვინვარებდა, რომელსაც იმ ჟამად „შავ სიკვდილს“ უწოდებდნენ. დიდძალი ოჯახები ამოსწყვიტა, ხალხი თითქმის გაანადგურა და მათ შორის ამოსწყდა ერთი მდიდარი ოჯახი დიუ-კლუ. მთელი ოჯახი დასაფლავებული იქმნა ერთს გარლემის ეკკლესიაში. ამ ოცი-ოცდაათის წლის წინად, გაზეთის სიტყვით, ეკკლესია დაძაბუნდა, კედლები გადმოინგრა და ის აკლდამაც სადაც ეს ოჯახი იყო დასაფლავებული გადმონგრევას ლამობდა. ეკკლესიის მოსამსახურეთ აკლდამის მეორეთ ამოშენება კალატოზებს მისცეს, რომლებმაც აკლდამის ხვრელები მთელი ერთი დღე იმუშავეს. დიუ-კლუს ოჯახის დასაფლავების შემდეგ ორასი წელიწადი მეტი იყო გასული. მიუხედავათ ყველა ამისა კალატოზები მაშინვე შავი ჭირით ავად დახდნენ, თუმცა არც ერთი მათგანი არ დაზარალებულა, რადგანაც „მიკრობებს“ ჩვეულებრივი ძალა აღარა ჰქონდათ. ამ რიგათ მიკრობებს შესძლებიათ ორას წელიწადზე მეტი ცხოვრება და ადამიანის დაზიანება.

# წვრილი ამბავი

—

სასარგებლო ჩვეულება. ამერიკაში ინდოელებს ერთი ჩვეულება ჰქონდათ რა წამს ინდოელს ბავშვი გაუჩნდებოდა, მაშინვე თავის ქოხის გვერდით ხეს დარგავდა ბავშვის სახელობაზე და იმისავე სახელს უწოდებდა, ბავშვიც იზრდებოდა და ხეც. ბავშვი გულმოდგინეთ დარაჯობდა და უვლიდა ხეს. ამგვარი ინდოელების ჩვეულება, ამერიკელებმაც სასარგებლოდ დაინახეს, და უფრო გაავრცელეს. სასწავლებლებში სადღესასწაულო დღე დააწესეს „ხის დარგვის დღე“. ინდოელი ბავშვები დიდის აღტაცებით მოელიან ხოლმე ამ დღეს და დიდის გულმოდგინებითაც ეკიდებიან ხეების გაშენებას. დღეს თურმე ამ ჩვეულობის წყალობით მთელი პატარა ტყეები გაშენდა იმ ხრიოკსა და უნაყოფო ადგილებში.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ შავი ჭირი ანზობში, როგორც ეტყობა, სუსტდება. ანზობი წინანდელებრ შემორტყმულია და მიმოსვლა აღკრძალულია. ანზობის მახლობლად მდებარე ყიშლაკებში—მარზიფსა, ტოკფანსა და პენჯაკენტსა და სამარყანდის ოლქის სხვა ადგილებსა და ბუხარაში მშვიდობიანობაა.

**პარიზი.** ახალშენთა მინისტრი უარსა ჰყოფს—მიწერილობა არ გაგვიგზავნია იმის შესახებ, რომ დრეიფუსის ყოფა-მდგომარეობა სხვანაირად მოაწყონო.

გაზეთები ემხრობიან ჟირარისა და სხვა ექსპერტების აზრს შამპოს რესტორანში მომხდარ აფეთქების შესახებ და ამბობენ, რომ აფეთქების მიზეზი გაზი იყოვო.

**კანეა.** ბატონიშვილმა გიორგიმ მიიღო სახელმწიფოთაგან უფლება განაგოს კუნძულის საქმე. ამ საგნის შესახებ რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იტალია შეთანხმდნენ. ეს სახელმწიფონი მისცემენ სესხად ახალ მთავრობას თითო მილიონს.

**პარიზი.** შამპოს სარდაფში მომხდარ აფეთქების—დროს მოკლულ იქმნა ერთი კაცი, ხოლო დაჭრილი 8. პოლიცია დარწმუნებულია, რომ ამ აფეთქების მიზეზი გაზი იყო და არა ყუმბარა.

11 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ ანზობში ამ უკანასკნელ დღეებში არარავინ გამხდარა ავად შავი ჭირით. ახლო-მახლო ადგილებში სრული მშვიდობიანობაა. ბომბეის საპრეზიდენტოში 15-დან 21 ოქტომბრამდე შავი ჭირი შესამჩნევად გაძლიერდა. ახლად ავად გახდა 6,525 კაცი, მოკვდა 5,077, გასულ კვირასთან შედარებით ავადმყოფთა რიცხვმა იმატა 852-ით და გარდაცვალებულთა რიცხვმა კი—856-ით.

**ვაშინგტონი.** ფილიპინის კუნძულების შესახებ ამერიკა აცხადებს, განზრახვა მაქვს ღია დავტოვო ეს კუნძულები მსოფლიო ვაჭრობისათვისო.

**პარიზი.** ფრანგ-იტალიელთა სავაჭრო ხელ-შეკრულებას ხელი მოაწერეს.

**ბუდაპეშტი.** ალიაქოთი გამეორდა გუშინ საღამოს $11^1/_2$ საათზე, როცა სხდომა დაიხურა. ოპოზიციას საშინელი ღრიალი გაჰქონდა, პალატას გარეთაც მოხდა არეულობა. პოლიცია იძულებული შეიქნა ჩარეულიყო საქმეში.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. პრეზიდენტი იხსენიებს გუშინდელ არეულობას და ამბობს, ამ არეულობამ შეაერთა პარლამენტის წევრების კანონები და შეუძლია დაარღვიოს პარლამენტის შრომის საფუძვლებიო. პრეზიდენტი სწუხს ამ ამბების გამო და აცხადებს იმედს, რომ არეულობა აღარ განმეორდებაო. მიმართულია მინისტრსაო,—ამბობს პრეზიდენტი მოესმა სიტყვები: „რა თქვენი საქმეა პატივზე ლაპარაკიო“. პრეზიდენტი თხოულობს, გამოტყდეს ის დეპუტატი, რომელმაც ეს სიტყვები სთქვა, ოსკარ ივანკა აცხადებს, რომ მან სთქვა, „პატიოსან სიტყვას მოგახსენებთო“. გონვედთა მინისტრი ამბობს, რადგან ის სიტყვები, რომლებიც მას მოესმა, არავის უთქვამს, ამიტომ ვსთხოვ პალატას, რომ ნურც ჩემ სიტყვებს მიიღებს ნათქვამადაო. (პალატა აღტაცებით იწონებს ამ წინადადებას). შემთხვევა გამოირკვა. გონვედთა მინისტრი განაგრძობს გუშინდელ სიტყვას.

**მოსკოვი.** ალის-აბებიდან იუწყებიან, რომ მენელიკი იმყოფება ბანაკში, სატახტო ქალაქიდან 9 საათის სავალზე, და მასთან იმყოფებიან იტალიისა და საფრანგეთის წარმომადგენელნი, ოქტომბრის გასულს მოვიდა ინგლისის წარმომადგენელი გარრინგტონი საჩუქრებით დედოფლისაგან ნეგუსისათვის. გარრინგტონის მიღებას დაესწრო მხოლოდ იტალიის წარმომადგენელი.

**პარიზი.** საკასაციო პალატამ მოუსმინა ბუადერფსა და გონზს და განუცხადა პიკარს, თქვენ დღეს ვერ მოგისმენთო. ამის გამო პიკარი ისევ შერშ-მიდის ციხეში წაიყვანეს.


## განცხადება

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და
ეკკლესიებშიაც
ცხოვრება ღირსისა
ხლექსის ღვთის კაცისა
(სურათით)
მეორედ გამოცემული
მორჩილის რ. ბარამიძის მიერ
ფასი ერთი შაური (10—9)

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.

## ПРИРОДА И ЛЮДИ

Издается съ 1889 г —Подписной годъ съ 1-го Ноября.

5 Руб. **на годъ** *безъ доставки въ Спб.*; въ Москвѣ въ отдѣленіи главной конторы журнала «Природа и Люди» (д. Петровскихъ Торг. л., у Н. Печковской) *5 р. 50 к.*; съ дост. въ Спб. и Москвѣ и пересыл. во всѣ гор. Россіи *ШЕСТЬ руб.* Допускается разсрочка: при подп. 2 р., къ 1 Марта 1 р., къ 1 Мая 1 р. и къ 1 Іюля остальныя.

*Пробный номеръ высылаетсв за 7 коп. марку.*

52 **Иллюстрированныхъ №№** каждый въ размѣрѣ 2 листовъ большаго формата (*16 страницъ плотной печати*) заключаетъ въ себѣ разнообразное, интересное и полезное чтеніе. Девизъ журнала «польза и развлеченіе». Редакція тщательно избѣгаетъ всего, что отзываетъ сухостью, всего что можетъ наводить скуку на читателя.

12 **ИЛЛЮСТРИРОВАН. ВЫПУСКОВЪ** (болѣе 300 рисун.) „Полезной библіотеки“

„Земля и ея народы“ составляющихъ ДВА *тома* соч Гельвальда («Живописная Европа», „Живописная Африка», «Живописная Австралія съ Океаніей» и «Полярныя страны»).

И, кромѣ того, *новое* безплатное приложеніе

12 ТОМОВЪ сочиненій **ГУСТАВА ЭМАРА** Объемомъ болѣе 3.000 стран. болщаго формата уборнетой печати.

Журналъ *«Природа и Люди»*, вступая въ десятый годъ изданія, будетъ по прежнему неуклонно идти къ своей цѣли—быть общедоступнымъ журналомъ *для семейнаго чтенія*, равно *интереснымъ для всѣхъ и каждаго*. Постоянно возростающее число подписчиковъ указываетъ на потребность такого журнала въ нащемъ обществѣ и на успѣхъ его.

Подписка принимается въ главной конторѣ: С.-Петербургъ, Стремянная, собств. домъ, № 12.

Издатель *П. Сойкинъ*. (4—3) Редакторъ *Ф. Груздевъ*.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ ([illegible]), რედაქტორ-გამომცემელი [illegible]